

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №59**

ქ. ბათუმი

28 მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, დირექტორის თამარ იოსელიანის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ააიპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი, დირექტორის გიორგი ბენაშვილის სახით, (შემდგომში – „მიმწოდებელი“), იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (NAT190004240) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლებისათვის სოციალური მედია მარკეტინგის სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლებისათვის სოციალური მედია მარკეტინგის სატრენინგო მომსახურების შესყიდვა, (შემდგომში – „მომსახურება“), შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
- 1.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი - CPV-80500000 - სატრენინგო მომსახურებები.
- 1.3. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.4. დაფინანსების წყარო: სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“-ს საკუთარი სახსრები.

**2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.**

- 2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით) შეადგენს **1` 470.00 ლარს**.
- 2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
- 2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით;
- 2.4. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება (დღგ-ს გათვალისწინებით).
- 2.5. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს გადასახადის ანგარიშფაქტურის გაფორმების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 2.6. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 2.7. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ მომსახურების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.
- 2.8. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უდნა გააჩნდეს პრეტენზია აუთვისებელ თანხაზე და მის გადახდაზე.

**3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

- 3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პირი ან/და პირები.

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

#### **4. მომსახურების შესაბამისობა და მიღება – ჩაბარება**

4.1. მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს.

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.5. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) წარმოდგენის შემდეგ, მომსახურების მიწოდების ადგილზე.

#### **5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას.

ბ) მომსახურების მიწოდების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, მომსახურების მიწოდების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) შემსყიდველის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მომსახურება.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## **6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას**

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **7. გარანტია**

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## **8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე ამკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

### **9. მომსახურების მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 01 აპრილემდე;

9.3 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 01 ივნისამდე.

### **10. ფორს-მაჟორული სიტუაციები**

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

### **11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულებების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

### **12. გადასახადები და ბაჟები**

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

### **13. შეტყობინება**

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

#### 14. სხვა პირობები

14.1. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

#### 15. მხარეთა რეკვიზიტები

##### ა) „შემსყიდველი“:

ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ქ. ბათუმი, ბაქოს ქ.50

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 631 632;

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგ/ნომერი: 707227058;

e-mail: info@mta.gov.ge

TEL / FAX: +995 422 27 49 25

+995 422 27 39 29

##### ბ) „მიმწოდებელი“

ააიპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი

ქ. რუსთავი, შ.რუსთაველის ქ., კორ. 26, ბ. 13

საიდენტიფიკაციო კოდი: 416329761;

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22;

ანგ/ნომერი: GE52TB7423436080100007;

e-mail: [eecenter.ge@gmail.com](mailto:eecenter.ge@gmail.com)

TEL / +995571010503

„შემსყიდველი“

თამარ იოსელიანი

„მიმწოდებელი“

გიორგი ბესამელი



ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: ააიპ. ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების სპეციფიკაცია	თანამშრომლების რაოდენობა	ერთი თანამშრომლის სერთიფიცირების ღირებულება (ლარი)	მომსახურების ჯამური ღირებულება (ლარი)
1	<p>სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს</p> <p>თანამშრომლებისათვის სოციალური მედია მარკეტინგის სატრენინგო მომსახურება</p>	<p>ტექნიკური დავალების შესაბამისად</p>	<p>3 მსმენელი</p>	<p>490 ლარი</p>	<p>1470 ლარი</p>
სულ ჯამი:					1470 ლარი

პრეტენდენტის ხელმოწერა



შენიშვნა: ფასების ცხრილის წარმოდგენილობა ან განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.